თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №7

„28“ მაისი 2020 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი,** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი,** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი,** საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი,** საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი,** სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე,** ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი,** საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი,** ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი,** ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე **ალექსი ძულიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე.**

<u>დღის წესრიგი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ პროექტებზე განმარტებები გააკეთეს **გ.თავბერიძემ, გ.ენუქიძემ, ნ.ვაყელიშვილმა.**

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ტ.დარეჯანიშვილმა, ა.შთირიშვილმა, დ.ღაღანიძემ,**

ლ.კოჭლოშვილმა მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსს დაუსვა კითხვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე.

<u>გადაწყვიტეს:</u> **მიმდინარე წლის 29 მაისს 12.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. გ.ენუქიძე
   12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ.ვაყელიშვილი
   12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ.თავბერიძე
   12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ.თავბერიძე
   12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ლევან კოჭლოშვილის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს. ნ.ხვისტანი
   12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

საკრებულოს თავმჯდომარე — არჩილი თხლაშიძე